



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იასაული

იასაული (თურქ.-ბრძანების აღმსრულებელი), 1. მმართველობითი და მართლმსაჯულებითი აპარატის დაბალი მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. მიეკუთვნებოდა ე. წ. ხელჯოხიანთა (იხ. არგოსანი) ჯგუფს. შეცვალა გაერთ. საქართველოში მანდატური და არგოსანი. საკუთრივ სააღმსრულებლო საქმის გარდა ი-ს გამოკვლევა-გამოძიების დავალებაც ეძლეოდა. მასვე განაწესებდნენ გამოსაღებთა ამკრეფ-გადამხდევინებლად და სამეფო სამეურნეო თუ სხვა სამუშაოთა ზედამხედველად. დასტურლამალით ცნობილია სამეფო ი-ების 2 დასი – ეშიკალასბაშისა (23 კაცი) და ქარხნის ანუ სანჯობის ნაზირის სახელოსი (17 კაცი); ი-ები სხვა სახელოებშიც (სალაროში, დავთარხანაში) იყვნენ; არსებობდა სადედოფლო ი-ების დასიც (17 ი.). ი-ების გასამრჯელო, ზოგჯერ მათი დღიური ხარჯიც, მძიმე ტვირთად აწვებოდა ჩაგრულ ხალხს. იასაულობა, დაინტერესებული პირის თხოვნითვე, ზოგჯერ სხვა უფრო გავლენიან მოხელესა თუ დიდ ფეოდალსაც ეკისრებოდა.

2. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ – საქალაქო პოლიციის მოხელე. გორში, დუშეთში, თელავსა და სიღნაღში განწესებული იყო თითო-თითო ი., ხოლო თბილისში – ოთხი. შეესატყვისებოდა უბნის პოლიციის უფროსს რუს. ქალაქებში.

3. XVI ს-იდან თანამდებობრივი წოდება ყაზახთა ჯარში, თავდაპირველად არჩევითი. შემდეგ (XVIII ს.) გაუთანაბრდა რუს. არმიის ობეროფიცრის ხარისხს, ბოლოს – როტმისტრობას, ასეულის მეთაურობას ცხენოსან ჯარში.

დ. ფურცელაძე
